№ 25 ფებერვალი 1, შაბათი. 1886 ფებერვალი 1, შაბათი № 25

ივერია

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

რედაქციისაგან

დღეიდამ მოესპოთ გაზეთის გაგზავნა იმ ხელის მომწერელთ, რომელთაც მხოლოდ 2 მან. შემოიტანეს. რედაქციაში დარჩენილი თავიანთი 50 კაპ. შეუძლიანთ უკან მიიღონ, თუ არ მოისურვებენ კიდევ სხვა ორის მანათის შემოტანას.

ტფილისი, 31 იანვარს

ივანე სერგეის-ძე აქსაკოვი, რომლის უეცარმა სიკვდილმა სამართლიანად დაალონა რუსეთი, ეგრედ წოდებულის სლავიანო-ფილობის წარმომადგენელი იყო და მას აქედ, რაც სახელოვანნი წარმომადგენელნი სლავიანო-ფილობისა კირეიევსკი, ხომიაკოვი, სერგეი და კონსტანტინე აქსაკოვები დაიხოცნენ, ამ მოძღვრებას მეთაურად გაუხდა. ძნელად წარმოგვიდგენს ისტორია ლიტერატურისა ამისთანა გულ-წრფელს, გულ-უბრყვილოს, გულ-მხურვალეს მოღვაწეს, როგორიც იყო აწ განსვენებული ივანე აქსაკოვი.

იგი მოძღვრება, რომელსაც აქსაკოვი თავ-გამომეტებით და დაუღალავად ემსახურებოდა მთელს თავის სიცოცხლეში, უარ-ჰყოფდა პეტრე დიდის ღვაწლს რუსეთის განახლებისათვის და ამტკიცებდა, რომ ეგ განახლება რუსეთისა საჭირო არ იყოვო და «ძალად მაცხონე» გამოვიდაო. რუსეთს თავისის წარმატების, გაძლიერების და ბედნიერების თესლი თავის საკუთარს გულშივე ჰქონდაო. პეტრე დიდმა ამას ყური არ ათხოვა, ამ თესლს კი არ შეუწყო ხელი, ამ თესლს კი არ მიჰსცა გზა ამოსულიყო და თავ-თავი გაეკეთებინაო, აიღო და უცხოთა განწყობილება მთლად გადმოიტანა რუსეთშიო, წმინდა, რუსული თესლი დაახშოო, მთელს რუსეთს საკუთარი სახე და ფერი ჩამოართვა და სხვისა სახე და ფერი დაჰსდოო. ამ უარ-მყოფელ მიმართულებასთან ერთად სლავიანო-ფილობას თავისი საკუთარი იდეალიცა ჰქონდა, რომლის განხორციელებასაც ჰსცდილობდა. ეს იდეალი იმაში მდგომარეობდა, რომ წარმატება რუსეთის ერისა უნდა წარმოსდგეს საუკუნოებით აღიარებულ და დადგენილ ჩვეულებისა და დაწესებულებისაგან, ესე იგი, «ობშჩინიდამ» და «ზემშჩინიდამაო.»

რასაკვირველია, უარ-ყოფა პეტრე დიდის ღვაწლისა რუსეთის მიმართ მეტის-მეტი გაზვიადება იყო სლავიანო-ფილობის მოძღვრებისა, მაგრამ ბევრს სხვაში იგინი მართალნი იყვნენ. სათავე წარმატებისა ერს თვითონ თავის საკუთარს სულიერს და ხორციელს არსებასა და აგებულებაში აქვს, თავის საკუთარს ჩვეულებასა და განწყობილებაში, თავის საკუთარს ცხოვრებასა და ისტორიულ მსვლელობაში.

პეტრე დიდის ღვაწლის უარყოფამ იმოდენად წაიცდინა სლავიანო-ფილობა, რომ ეს აღარ იკმარეს მისთა მიმდევართა. რომ უფრო დაათვალონ და გააბათილონ პეტრე დიდის ნაამაგევის მნიშვნელობა, წუნი დასდვეს თვით განათლებას და სიკეთეს ევროპისას და იქამდე გაკადნიერდნენ რომ ყოველივე, რასაც-კი ევროპის ნიშან-წყალი ემჩნეოდა, აითვალწუნეს ვით მეტ-ხორცი სლავიანთა აგებულებაზედ მეჭეჭად ამოსული. «დამპალი ევროპა, გახრწნილი დასავლეთიო.» სულ ამას იძახოდნენ, როცა კი შემთხვევა ეძლევოდათ და გულ-დაჯერებით ხმა-მაღლა და უკან დაუხევლად ჰქადაგობდნენ, რომ დღეს ერთად-ერთი ერი-ღაა ევროპაში, რომელიც განგებით მოვლენილია ახალი სიტყვა, ახალი მოძღვრება, ახალი სული ჰშთაბეროსო დაბერებულს, დაძველებულს და მიხრწნილ პროგრესს ევროპისასაო და ეგ ერი სლავიანების ერიაო.

რასაკვირველია, ამისთანა წყალგაღმა გადაბიჯულმა მოძღვრებამ ბევრი ცილობა და კამათობა ასტეხა რუსეთში. ბრძოლის მოედანი დარჩათ სლავიანო-ფილობის წინააღმდეგთა. დასი სლავიანო-ფილობისა თან-და-თან შეთხელდა და უკანასკნელი მეომარი მისი ამ ბოლოს დროს თითქმის მარტო აქსაკოვი-ღა იყო. ბევრი ვაი-ვაგლახი გამოიარა ამ გულ-წრფელმა მეომარმა, ბევრ გვარი წისქვილის ქვა დატრიალდა მის ქედ-მოუხრელს თავზედ, ბევრი თავსაცილი, ცხარე და მკვახე სიტყვები ითმინა მოპირ-და-პირეთაგან, მაგრამ არც ერთხელ თავისის გულითადის რწმენისათვის არ უღალატნია, არც ერთხელ პატიოსნება არ შეუმწიკვლებია, ნამუსისა და სინიდისისათვის არც ერთხელ ჩირქი არ მოუცხვია. მისთა მოპირ-და-პირეთა, მისთა მტერთაც დღეს მის საფლავზედ ქვეყნის წინაშე ხმა-მაღლად აღიარეს თვისი სიყვარული, თვისი გულითადი პატივის-ცემა ამ უანგარო, უშიშარ, უბრყვილო მოღვაწისადმი. მთელმა პეტერბურგის მწერლობამ, რომელიც, მანამ აქსაკოვი ცოცხალი იყო, მედგრად ებრძოდა მის მოძღვრებას, დღეს მის სამარეზედ გულ-მტკივნეული ცრემლი დააფქვია და აღიარა, რომ რუსეთმა ერთი დიდი მამულის-შვილი დაჰკარგაო.

კეთილ-შობილ და დიდ-სულოვან მტრებსა ერთმანეთის შიში კი არა ერთმანეთის პატივისცემა აქვთო, ნათქვამია. ასეთი საქციელი პეტერბურგის მწერლობისა სასახელოა არამც თუ მარტო აქსაკოვისათვის, არამედ თვით მწერლობისათვისაც. აქსაკოვი მართლის თავ-გამომეტებული მოსამსახურე იყო, იმიტომ—რომ მართალი იმაში კი არა მდგომარეობს იგი ჰსთქვა რაც ჭეშმარიტია, არამედ იმაში, რომ ჰსთქვა იგი, რაც გულში რწმენად დანერგული გაქვს. აქსაკოვი ცხარე და ფიცხელის სიტყვის პატრონი იყო, როგორც ყოველი კაცი, რომელიც მარტო რწმენით და სიკეთის ნამეტნაობისაგან ლაპარაკობს. რწმენით მტკიცე იყო, სიტყვით მხურვალე და გულით მეტად ტკბილი, მეტად ლბილი და კაცთ-მოყვარე. აი სწორედ ამაზედ არის გამოჭრილი რუსთაველის სიტყვა:

«სილბო ჰქონდა ნაქსოვისა
და სიმტკიცე ნაჭედისა.»

ახალი ამბავი

⁂ ტფილისის პოლიცია უკვე დაჰსდგომია ნიკოლოზ საფაროვის მკვლელების კვალს, რამდენიმე კაცია თურმე და სულ ელიზავეტოპოლის მცხოვრებელნი არიანო. თუმცა ჯერ-ჯერობით იმალებიან, მაგრამ პოლიციას სრული იმედი აქვს, რომ ხელიდგან ვერ წაუვლენ. როგორც ამბობენ, ამ მკვლელობას ტფილისში ერთის სახლის დაწვესთან კავშირი აქვსო. საფაროვი თურმე იცნობდა ამ კაცებს და რადგანაც მათი დაბეზღება ჰსდო-

ფელეტონი

საგრამატიკო შენიშვნა

(ბ-ნ ნასიძის წერილის გამო)

ამ დღეებში «ივერიამ» დაბეჭდა ბ. ნასიძის წერილი სათაურით: «ორი საგრამატიკო საგანი». ავტორმა წერილი დააბოლოვა გამოცხადებით, რომ ამ მოკლე ხანში მეც ვაპირებ ქართულის გრამატიკის დაბეჭდვასაო.

ცხადია, ავტორს არა მარტო ის უნდოდა, რომ განეზიარა მკითხველისათვის თავისი საგრამატიკო მოსაზრებანი, არამედ ისიც სურდა, რომ მკითხველის მხრივ გამოეწვია ბეჭდვითი მსჯელობა და შეეტყო, რავდენად მტკიცე ნიადაგზედ სდგას იგი და რავდენად მოწიფულად უნდა ჩაითვალოს მისი ნაწარმოები, დასაბეჭდად დამზადებული. თავისი ვალი მან უკვე შეასრულა, თავაზა გაგვიწია,—ახლა ჩვენი, მკითხველების, რიგია სამაგიერო სიკეთე მივაგოთ და ჩვენც ჩვენი ნაზრი და ნაფიქრალი გულ-წრფელად განვუზიაროთ.

ბ. ნასიძის საქციელი ამ შემთხვევაში ძლიერ მოსაწონია. წინ-დახედულობა, სიფხიზლე და—ასე ვსთქვათ—საგრამატიკო ეგზამენის დაჭერა საზოგადოების წინაშე მიუცილებლად საჭიროა ყველასათვის, ვინც კი კისრულობს ქართულის გრამატიკის შედგენას და გამდიდრებას ჩვენი ფილოლოგიურის ლიტერატურისას. გრამატიკა ფილოსოფიაა ენისა და, როგორც მოგეხსენებათ, ყოველ-გვარი ფილოსოფია ითხოვს კარგს ცოდნას, გონების-გახსნილებას და საგანში ღრმად ჩაკვირვებას. თვით განათლებულს ევროპაში ადვილ საქმედ არ მიაჩნიათ გრამატიკის მარჯვე შედგენა. რუსეთში ხომ ეს საქმე უფრო კიდევ ბევრად ძნელია. მარტო რუსული მართლ-წერა შეიქმნა ისეთი დაუსრულებელის ბაასის და განხეთქილების საგნად, რომ თვით სამეცნიერო აკადემიამაც ვერა გააწყო-რა; ჩვენ ამ მხრით ყველაზედ უარესს მდგომარეობაში ვიმყოფებით. ჩვენი გრამატიკა, როგორც თეორიული მეცნიერება, ძალიან ნაკლებად არის შემუშავებული და მოგაგონებთ დაბურულს და გაუვალს ტყესა. მოდი აქა და ნუ იხმარ სიფრთხილეს და წინ-დახედულობასა.

აჩქარება გრამატიკის შედგენაში, ხელად გამოცხება მისი მხოლოდ მაშინ იქნებოდა ცოტაოდნად შესაწყნარებელი, რომ უგრამატიკოდ ენის შესწავლა არ შეიძლებოდეს. მაგრამ ეს ასე არ არის. მარტო ინგლისის მეცნიერი ბენი როდი აყენებს უკან გრამატიკას ენის შესწავლაში. უფრო კიდევ ნაკლებ მნიშვნელობას უსაკუთრებენ მას სხვა მეცნიერნი, მაგალითად ვირხოვი. ეს განთქმული ნემეცი ამბობს, რომ ვიდრე არ მოვიქნიე ყველა გრამატიკები და კუთხეში არ მივაგდე, ენები ვერ შევისწავლეო. რასაკვირველია, ვირხოვის სიტყვები საზოგადოდ გრამატიკის უვარგისობას არ ამტკიცებს, არამედ ჰმოწმობს უხეირობას იმ დროს გრამატიკებისას. მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ ამ სახელოვანმა ანტროპოლოგმა უცხო ენები მშვენივრად შეისწავლა უგრამატიკოდ.

რაც ჩვენი ყმაწვილობისა გვახსოვს, ისიც ემოწმება ამას. ამ ოცდა-ათი წლის წინად ჩვენს სასწავლებლებში გრამატიკა იოსელიანისა ქართულის ენის სახელმძღვანელოდ იყო მიღებული. ვერ წარმოიდგენს მკითხველი, რა ჭირივით მეჯავრებოდა ქართულის ენის გაკვეთილები და რა სიძულილი ჩამისახა გულში დედა-ენისა ამ გრამატიკამ იმ დრომდის, ვიდრე იგი არ შემაყვარეს ჩვენმა მაღალ-ნიჭიერმა პოეტებმა და ლიტერატორებმა!

დიაღ, უმთავრესი და საუკეთესო ღონის-ძიება ენის შესწავლისათვის გახლავთ: ხალხის გონების ნაწარმოები, პოეზია და სიტყვა-კაზმული პროზა—ერთის სიტყვით ლიტერატურა. ლიტერატურა არის ერთად-ერთი ცხოველი წყარო ენის სიმდიდრის შეთვისებისათვის. აი რისათვის გონივრად შედგენილს სალიტერატურო ქრისტომატიას, რომელშიაც არის მოქცეული—ესრედ ვსთქვათ—ნაღები პროზისა და პოეზიისა, შეუდარებელი მნიშვნელობა აქვს. გრამატიკა არის მხოლოდ დამხმარებელი ღონის-ძიება, რომელიც სარჩულად დაედება პრაქტიკულს ცოდნასა. მაგრამ გრამატიკამ რომ ეს სამსახური გაგვიწიოს, იგი უნდა იყოს შედგენილი ცოდნით და მარჯვედ და იპყრობდეს უტყუარს კანონებს ენისასა.

ახლა წარმოიდგინეთ ქვეყანა, თუნდა ცხრა მთას და ოცს ზღვას იქით მდებარე, სადაც სამშობლო ენას მოზომილი აქვს პატარა მოედანი, ნაწილადები აქვს მცირე დრო, რომელიც არ ჰყოფნის უმთავრესს ღონისძიებას—ლიტერატურის შესწავლასაც. წარმოიდგინეთ შემდეგ, რომ რომელმამე გულ-ჩქარმა და წინ-დაუხედავმა პირმა ხელად შეადგინა გრამატიკა, გაავსო იგი ტყუილ-კანონებით, დაბეჭდა და მიაღებინა სახელ-მძღვანელოდ სკოლებში. რა შედეგი ექმნება ამ ნაბიჯსა? ცხოველმა წყარომ—ლიტერატურამ — უნდა თავისი მცირე დროდგან უწილადოს კაი ბლომა ნაწილი და ერთი-ორად შეევიწროვდეს. მოწაფეებმა ნაცვლად მაღალ-ნიჭიერ მწერლების ნაწარმოებისა უნდა იზეპირონ მერყეობა, კანკლედობა, ულელილება, ნამყო, უსრული, უსრულესი და მრჩობლ-სხმითი გარდასვლითი და მთელი მშრალი ტერმინოლოგია გრამატიკისა! უგრამატიკო გრამატიკა თვითონაც წაუხდენს, გაურყვნის მეტყველებას მოწაფეებსა და ლიტერატურასაც დაუშლის ენა-უმდიდროს მათ. გამოვა ორ-გვარი ენება, სხვა მეხი, ანუ უკანასკნელი მუგუზალი ჯოჯოხეთისა, როგორც ამბობს ბ. ნასიძე.

აი რის გამო ჩვენში გრამატიკის შემადგენელმა ბევრი უნდა აილ-დაილოს, ყველა სადაო საგანი ბეჭდვის შუამავლობით განსაჯოს და ცხრაჯერ გაზომოს, ვიდრე მოსჭრიდეს. ეს ცხრაჯერ გაზომვა ფრიად საჭიროა კერძოდ ბ-ნი ნასიძისათვისაც.

ვიდრე ავტორის მოსაზრებათა აწონას შევუდგებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მან თავის წერილში გამოიჩინა მეტის-მეტი პურა-ძვირობა. იგი შეეხო მხოლოდ ორს საგანს

მებია, გუმანიც იმიტომ იმათზედ მიუტანიათო. (გაზ. «ნოვ. ობოზ.»)

⁂ სომხური გაზეთი «ნორ-დარი» გვაუწყებს, რომ ელიზავეტოპოლში სასტიკად აღკრძალულია კვირაობით ვაჭრობაო. ვინც ამას გადასცდება და არ აასრულებს, 25 მანათი ჯარიმა ერთმევაო.

⁂ გუშინ დილით, 30 იანვარს ბაქოს რკინის გზის მატარებელით ჩამოვიდნენ ტფილისში განთქმული სომხური ტრაგიკოსი ბ-ნი ადამიანი და არტისტკა ზაბელის ქალი. სომხების არტისტები მიჰგებებიან ძვირფასს სტუმრებს ვოგზალზე და ერთს მათგანს ბ-ნის ადამიანისათვის ძვირფასი გვირგვინი ყვავილებისა მიურთმევია.

წარმოდგენები ზემოხსენებულის არტისტების მონაწილეობით მომავალ კვირაზე ადრე არ დაიწყობაო. წარმოდგენები ტფილისის თეატრში იქნება გამართული. პირველის წარმოდგენისთვის «კინი» აქვთ. სახეში. («Тиф. Лист.»).

⁂ ამავე გაზეთსა ჰსწერენ, რომ დილის 4 საათზედ, 30 იანვარს, ამიერ კავკასიის გომის რკინის გზის სტანციაზე, ცეცხლი გაჩენილა. ჭერი, კედლები და ერთი მთელი ოთახი ცეცხლის მსხვერპლი შექმნილა. ცეცხლი საქონლის საწყობშიაც გადასულა, მაგრამ ფიცხელის ღონისძიების გამო გაუქრიათ.

⁂ გარდაიცვალა ტაინი სოვეტნიკი ადოლფ პეტრეს-ძე ბერჟე, 60 წლის კაცი.

⁂ 30 იანვარს თავადის ირაკლის აბანოში ერთს უცნობს კაცს თავი მოუკლავს. მოკლულის ვინაობის შესატყობრად ღონის-ძიება თილებული.

⁂ მესამე სასამართლო განყოფილებაში აღმოჩენილ იქმნა, რომ 1,000 მანეთზე უმეტესისა ფასიანი ქაღალდები დაკარგულა. ამისი ქურდობა ჰბრალდება იქვე მწერლად ნამყოფს განჩაროვს, რომელსაც ამხანაგებიც ჰყოლიან. გამოძიება ჰსწარმოებს.

⁂ 30 იანვარს პოლიციის 1 განყოფილებაში პანამაროვის ქჩრივის სახლთან უპოვიათ რვა თვის ქალი, ვიღასგანაც დატოვებული. ყმაწვილი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

შეცდომის გასწორება: გუშინდელს «დამაკვირდი»-ში სწერია: «სირცხვილია კაცმა სიღარიბე აიტანოს, უფრო მეტად სირცხვილია განდევნოს იგი შრომითა... უნდა იყოს: «უფრო მეტად სირცხვილია არ განდევნოს იგი შრომითა და გამრჯელობითა».

მართებლობის განკარგულებანი:

გაუმწესებიათ: სამსახურიდამ გამოსული ტელეგრაფისტები მე-IV ხარისხისა: ალექსანდრე სერგეევი თემრიუკის ტელეგრაფის სტანციაში; აზნაური ნიკოლოზ ანთაძე გუდაურის სტანციაში.

დაუნიშნავთ: ტელეგრაფის სტანციის ზედამხედველად კოლლეჟსკი რეგისტრატორი უიფშიძე: გორის ფოსტისა და ტელეგრაფის კანტორის ზედამხედველად და კოლლეჟსკი სეკრეტარი ვარუევი, გეორგიევის ტელეგრაფის სტანციის ზედამხედველად.

გადაუყვანიათ: ტელეგრაფისტები: მოზდოკისა—ამბარცუმოვი არმავირის სტანციაში; ვლადიკავკავისა—თეოდორე ოლშევსკი და გუდაურისა—მიხეილი ლუცენკო—ორივე ბალთიის სტანციაში; ტფილისისა—ივანე იოსელიანი: ქუთაისში: ქუთაისისა—მოსე უიფიანი—ზუგდიდში და პარმენ ლორთქიფანიძე სოხუმში; ტფილისისავე პავლე სააქოვი—მოლაკარაში.

სამსახურიდამ დაუთხოვნიათ: ტელეგრაფისტი-ქალი ტფილისის სტანციისა—ელისაბედ ლემენი-მაკედონი; მე-IV ხარისხის ტელეგრაფისტები ახალ-ბაიაზეთისა—ნიკოლოზ ალახვერდოვი და გიორგიევის სტანციისა—ქრისტეფორე სააკოვი.

გაუმწესებიათ: მელქისედეკ ვერულაშვილი დ. ახალ-სენაკის ნოტარიუსად, რომელიც ქუთაისის ოლქის სასამართლოს განკარგულებით ვალდებულია ყოველ დღე დილის 9 საათიდგან, შუადღის 3 საათამდე კანტორაში იმყოფებოდეს.

* * *

ნაკვესი

იმერ-ქართველი მიდიოდა ტფილისს. ზემო ქართლის მინდორზე ჩამოსტა, ცხენი გაუშვა საძოვარზედ, თვითონ ულვაშები აიგრა სულვაშეში და წამოწვა დასაძინებლად. როცა დრო მოუვიდა წასვლისა, ცხენს მოათვალიერა, ვეღარ ნახა და მგზავრს გლეხსა ჰკითხა:

— ცხენი ხომ არ გინახავსო?

— დალოცვილო, ცხენი დაგება და ულვაშები აგეშო, უთესი არ იქნებოდაო, მიუგო გლეხმა.

რ.

* * *

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ივრის ხეობა. 22 იანვარს. ვინ იცის რამდენი ყოველ დღიური ბოროტი უწვრილებს გულს ჩვენი მხრის ხალხს, მაგრამ მე არც ერთზედ ამათგანზედ ხმას არ ვიღებ, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ შვება არსაიდგან მოგველის. დიდის ნატვრით მოველოდდით ამ უკანასკნელ ორის წლის განმავლობაში ჩვენშიც მოსამართლეს. აღტაცებას და საერთო სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. გვეგონა, აი ეხლა კი ძლივს-ძლიობით ბედმა ჩვენც გაგვიღიმაო, მაგრამ თქვენს მტერს მოსწყდეს წელი, რომ ჩვენ საქმე მოგვივიდა. მომრიგებელი სასამართლოს განყოფილება იმართება მხოლოდ ისევ ტფილისში და არა საგარეჯოს, როგორც აქამდინ გვპირდებოდნენ. არ ვიცი კი რა დიდი შემწეობაა ჩვენის მხრის ხალხისთვის ამ გვარი განკარგულება. აქ სადაო საქმეში ორმოც-დაათი ვერ მიაწევს ხოლმე სასამართლომდის. სულ კი იმიტომ, რომ ხარჯი სადაო საქმეს ერთი ორად და ერთი სამად აღემატება. და თუ ხანდისხან მცირეზედ დაწანწალებენ, ორმოც-და-ათ ვერსის სიშორეზედ, ეს სულ ჯიბრის შედეგია ურთიერთ შორის. ასე იფიქრეთ მოწმები ზვერჯელ თითონ იძლევიან ქრთამს, ოღონდ მოწმად ნუ დაგვწერთ და ნუ გაგვწანწალებთ ტფილისშიო.

ზაფხულში დაბარება—ხომ სწორედ სათიბალაა მოცდენა და მოშრეტა სამის ოთხის დღით, როდესაც ერთი საათიც კი მკის-თვისად უღირს სოფლის კაცს, მეტად საზიანო; ზამთარში კიდე უარესი. რამდენჯერ დაუბრუნებია ადიდებულს იორს მოჩივრები უკან, ანუ კიდეც წაუსხრჩია საცოდავად, გაუმწარებია სიცოცხლე სამგორის ქარ-ბუქს. და თუ სამუდამოდ არ გამოსალმებია ბედ-შავი წუთის სოფელს, დამძრალა, გამჭვალულა და იგივე სიკვდილი დიდის ხნის ტანჯვის შემდეგ მაინც და მაინც არ ასცდენია. მერე, თუ მივიღებთ მხედველობაში აწინდელს სასამართლოების დაუსრულებელს წარმოებას, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა არის ამდენს მანძილზედ დაშორება სასამართლოს კარისა უიმისოდაც მიწასთან გასწორებულის სოფლის ხალხისათვის.

ვისაც კი როდისმე გაუვლია მართებლობის წარმომადგენელს ჩვენს მხარეზედ, თითქმის ყველასათვის უთხოვნიათ მომრიგებელს სასამართლოს დაწესება ჩვენში, ან თუ ეს არა, ხიდის გაკეთება მაინც იორზედ, რომ ბევრნი, ძრიელ ბევრნი მსხვერპლად ეძლევიან ხოლმე ამ გიჟ-მაჟ მდინარეს ადიდების დროს. მაგრამ აი როგორც ჰხედავთ, ვერც ერთის ღირსნი ვერ გავხდით.

* * *

დამაკვირდი!

სიმდიდრე მსახურია ჭკვიანისა და ბატონი სულელისა. (დელა ბუისსი)

⁂

აგზნება გულის ცხადი ნიშანია ჭკვა ნაკლებობისა. (სტალი)

⁂

ურცხვობა უკანასკნელი ხარისხია ბიწიერებისა. (ბუასტი)

⁂

სიდუხჭირე და მახინჯობა სევდაა, რომელსაც ქალი მთელს თავის სიცოცხლეში გულიდამ ვერ მოიშორებს ხოლმე. (მაბირი)

⁂

უსწავლელი ქვაზე დაჯდეს,—
ქვა ქვაზედა დაემატოს.
(მეფე ვახტანგ VI)

* * *

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

როგორც ჩვენში, ისე მთელს რუსეთში ეხლა ერთ-გვარი საჩივარი გაისმის ყველგან: ფული გაძვირდაო, საქმეები აღარ არისო, საქონელს გასავალი არა აქვსო, ვაჭრობა, მრეწველობა სრულებით დაეცაო. უწინ ამ გვარ შემთხვევაში ფრანგებს დააწყდებოდნენ ხოლმე თავზე: ფრანგი გვიშლის ყველაფერში ხელსაო, ფრანგია ჩვენი მტერიო, ეხლა წასწყდომიან ნემენცებს და გაიძახიან: ნემენცებმა საქმე გაგვიჭირესო, ყველაფერი მათ ჩაიგდეს ხელში, უნდა როგორმე მოვიშოროთ ეგენი თავიდამაო.

გადასჭრეს ნემენცების თავიდამ მოშორება, ამბობს გაზეთი «*Южанинъ*»-ი, და ამათ საქონელს უშველებელი ბაჟი დაადეს,—ეგონათ, ამაზედ უკეთესს საშუალებას ვერ მოვახერხებთო, რომა ნემენცები სრულიად გავანადგუროთო. მაგრამ მოხერხებული ნემენცები ვერც ამან შეაშინა და მაინც თავისას არ იშლიან:—ალხეინად გადაბიდეა რუსეთის საზღვარს, ააშენა ფაბრიკები და ქარხანები; საქონელს უფრო უკეთესს აკეთებს და იაფათაც ჰყიდის, ვიდრე რუსები, და ამ გვარად რუსის ფაბრიკანტებს ლუკმა პურს ისევ პირიდამ აცლის.

რუსის ფაბრიკანტების ეს იმედიც გაუცრუვდათ; ესენი მაშ ტყუილად მიენდნენ ბაჟსა, როგორც ციხის სიმაგრეს,—ვერც ეს მაგარი ციხე გაუმაგრდა ნემენცებს. უთუოდ სხვა მიზეზი უნდა იყოსო, რომ ნემენცების საქმე ასე კარგად მიდისო; უთუოდ უცხოეთიდამ მათ ხელს ვინმე უნდა უწ-

---

გრამატიკისასა და ისიც იმისთანებსა, რომელსაც აქვს თეორიული მნიშვნელობა და ბევრად სხვაზედ მარტივი არის,—და ხმაც არ ამოუღია იმისთანა რამეებზედ, რომელიც ცხოველი ინტერესით სავსეა და ყოველდღიურს საჭიროებას შეადგენს. მაგრამ ჯერ-ჯერობით დავჯერდეთ მას, რაც განგვიზიარა.

პირველი საგანი, რომელსაც შეჰსჭიდებია ბ-ნი ნასიძე, არის რაოდენობა ბრუნვათა. იგი თავ-და-პირველად უარ-ჰყოფს ძველის გრამატიკოსების შეხედულობას ამ საგანზედ, რომელიც, დიდი ხანია, გამტკუნებულ იქმნა პროფესსორების ჩუბინაშვილის და ცაგარლისაგან, ეთანხმება მაღალ-პატივცემულს დიმიტრი ივანეს-ძეს ყიფიანს სამის ბრუნვის გაუქმებაში და სდგება იმ აზრზედ, რომ ქართულს ენას აქვს მხოლოდ ხუთი ბრუნვაო.

უარ-ყოფილნი ბრუნვანი არიან შემდეგნი: კაცითა, კაცად, მეზობლისას.

პირველს ბრუნვას უარ-ჰყოფს ბატონი ყიფიანი და მასთან ბ-ნი ნასიძე იმ მოსაზრების ძალით, რომ უკანასკნელი ასო თ არის შემოკლებული თანდებული «თურთ» და, მაშასადამე, უნდა ჩაითვალოს სახელობით ბრუნვად თან-დებულის ზედ დართვით. ეს აზრი ეკუთვნის მხოლოდ ბ-ნს ყიფიანს და ეწინააღმდეგება ყველა სხვა გრამატიკოსების შეხედულობასა, რომელიც მოქმედებითს ბრუნვას ჰრაცხდნენ და ჰრაცხვენ თვით-მყოფელ ბრუნვად. რომელს მხარეს უნდა დავუჯეროთ? უმრავლესობას, უთუოდ და აი რა საბუთების ძალით:

პირველად: საიდგან სჩანს, რომ ასო თ არის შემოკლებული თანდებული «თურთ»? ეს რომ ასე იყოს, მაშინ ამ ასოს მაგიერ ყოველს შემთხვევაში შეგვეძლებოდა გვეხმარა მთელი თანდებული აზრის შეუცვლელად, აი როგორც აზრისავე გადუსხვაფერებლად ეხმარობთ: სახლში, ნაცვლად სახლსა შინა, ხეზე, ნაცვლად ხესა ზედა და სხვანი. მაგრამ, აბა შემდეგს ფრაზებში ასოს მაგიერ სიტყვებს მივაბათ თანდებული და ვნახავთ, რა დიდი ცვლილება და უაზრობაც გამოვა: დავბარე ბარითურთ, ვთოხნე თოხითურთ, ვჭამე ენითურთ, მესმის ყურითურთ. უფრო ცხადად დაეინახავთ განხვავებასა, თუ ავიღებთ შემდეგს ვრცელს ფრაზებსა: მე მოვედი ურმით დედითურთ. მე წავედი რკინის გზით ძმითურთ. აბა გადააკეთეთ «ურმით» და «რკინის გზით» «ურმითურთ» და «რკინის გზითურთ» და ნახავთ, რა არევნა აზრისა მოხდება. ამასაც არა კმარობთ? მაშ კარგი. ივანე მოკვდა ხოლერით. ივანე მოკვდა ხოლერითურთ. პირველს ფრაზაში ხოლერა ჰკლავს ივანესა,—მეორეში კი ივანე და ხოლერა ერთად, ძმურად იხოცებიან. რითი? აბა გამოიცანით.

მეორედ: მოქმედებითი ბრუნვის უკანასკნელი ასო რომ შემოკლებული თანდებული იყოს, იმ ასოს ბოლოზედ ვეღარ მოებმოდა სხვა თანდებული. გარნა ამ ბრუნვას სხვა თანდებულნი ძალიან შნოიანად ებმიან, მაგალითად თანდებული გან. «პირველითგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღვთისათანა... ესე იყო პირველითგან ღმრთისა თანა» (სახარება იოანესი). მართალია, ახლა ჩვენ ხშირად ვცვლით ამ შემთხვევაში თ-სა დ-ზედ და ვსწერთ: პირველიდგან,—მაგრამ ეს აწინდელი შეცდომაა და არასფერს ამტკიცებს, გარდა იმისა, რომ ყურადღებას ვერ ვაქცევთ, თუ როგორ სწერდნენ და ლაპარაკობდნენ უწინდელი წმინდა ქართველები.

მესამედ: როცა რომელსამე სახელი არსებითს ბოლოზედ დაერთვის რომელიმე თანდებული, თუნდა შემოკლებულიც, ყოვლად შეუძლებელია ბოლოზედ მიიბას ეს თანდებული ზედშესრულმა, სახელი არსებითთან შეთანხმებულმან. მაგალითად ჩვენ ვამბობთ: დაბურული ტყიდამ, მაღალს კოშკზე, დიდს დარბაზში და არას გზით არ შეიძლება ვსთქვათ: დაბურულიდამ ტყიდამ, მაღალზე კოშკზე, დიდში დარბაზში. ამიტომ, მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოება რომ შემოკლებული თანდებული იყოს, მას ახლოც არ მიიკარებდა ზედშესრული, სახელი არსებითთან შეთანხმებული. მაგრამ საქმით რას ვხედავთ? რაც ქართულს მწიგნობრობას თავი შეუსწავლია, ჩვენი მწერლები სხვა ბრუნვების დაბოლოებას კი ხშირად ჰკვეცდენ და ამ ბრუნვის უკანასკნელს მარცვალს-კი მთლად სწერდნენ ყველგან და ყოველთვის—მაშინაც, როდესაც ზედშესრული წინ-უძღოდა სახელი არსებითსა და მაშინაც, როცა უკან მისდევდა. გაიხსომეთ მოქმედებით ბრუნვის მქონე ადგილები «სახარებიდგან», «ვეფხვის-ტყაოსნიდგან», «გურამიანიდგან» და სხვათა ქმნილთაგან და ჩვენი აზრის სიმართლე თქვენთვის აშკარა შეიქმნება. «და ხმა ჰყო ხმითა დიდითა (იესომ) და განუტევა სული».—«რომელმა შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა».—«ჩემს უკან მდევართ გადეურჩი იმ წოლით დღითა სამითა (გურამიანი), და სხვანი. რას ამტკიცებს ეს ფაქტი? იმას, რომ მეხუთე საუკუნიდამ დაწყებული მთელი ქართველობა სთვლიდა მარცვალს ით მოქმედებითს ბრუნვის წმინდა დაბოლოებად და აზრადაც არავის მოსვლია მისი თანდებულად შერაცხვა. მაშასადამე...

თუ მარცვალი ით სრულიად დამოუკიდებელია თანდებულზედ «თურთ», მაშ რად იკვეცება უკანასკნელი მისი ასო, როდესაც სიტყვას ბოლოზედ ებმის თანდებული? იკითხავს მკითხველი. იმ მიზეზითვე, რა მიზეზიც ჰკვეცს მიცემითის ბრუნვის დაბოლოებას, როდესაც მას დაერთვიან თანდებულნი: ხეზე, ხეში. ეჭვი არ არის, რომ მოქმედებითი ბრუნვა თანდებულით «თურთ» წინედ ასე გამოითქმებოდა: დედითთურთ, მამითთურთ; მაგრამ შემდეგში კეთილხმოვანებას გაუუქმებია ასო თ და შეუმოკლებია ბრუნვის დაბოლოება.

კიდეც რომ დამტკიცებული იქმნას მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოების წარმოშობა თანდებულიდგან «თურთ», მაშინაც ვერ გაუქმდება ეს ბრუნვა. ამ გზას რომ დავადგეთ, ყველა ბრუნვებს გავაუქმებთ. აღმოჩნდება, რომ მოთხრობითი ბრუნვის დაბოლოება

ყობდესო, შველას აძლევდესო, განიფიქრეს რუსის ფაბრიკანტებმა და მაშინვე გადასწყვიტეს, სთხოვონ მთავრობას, რაიმე შემწეობა მისცეს, რითიმე მოაშველოს მათ ხელი. ამაზედ გაზეთი საფუძვლიანად ამბობს:

> ტყუილი იმედია, ვითომ მთავრობის ხელის მოწვდამ საქმეს რითიმე უშველოს. რათ ივიწყებენ ფაბრიკანტები, რომ იმ ადგილას, სადაც ნემენცებს ფაბრიკები და ქარხნები აქვთ გამართული, თვითონ იქაურს ფაბრიკანტებს და მექარხნეებსაც, უმეტეს ნაწილ პოლიაკებს, საქმე კარგად მისდით. ამის მიზეზი რაღაა? ესენიც ხომ უცხოეთიდამ შემწეობას არ იღებენ?—მაშ ცხადია, იმის მიზეზი, რომ აღმოსავლეთ და შუა-გულს რუსეთში მრეწველობა თუ ფოლდება და უკან მიდის, და დასავლეთ რუსეთში კი სულ უკეთესდება და წინ მიდის,—სრულიად სხვა უნდა იყოს. გვგონია, უმთავრესი ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ დასავლეთ მხარეს მარტო თავიანთ თავის იმედი აქვთ, აქ, შუა-გულს რუსეთში კი, სულ სხვის იმედზე არიან, სულ შემწეობაზე უჭირავთ თვალიო.

საკვირველი ხალხია ეს რუსის ფაბრიკანტები! მადა კი დიდი აქვთ, მილიონებით ჯიბის გატენა კი ძალიან ჰსურთ, და არც ტვინის განძრევა უნდათ, არც შრომა და ჯაფა. ვერა საქმე ხელიდამ ვერ გამოსდით, დამპალი და უვარგისი საქონელი ვერ უსაღდებათ, სანატრელი მილიონები ჯიბეში თავისთავად არ უცვივდებათ და იმის მაგიერ, რომ საქმეს დააკვირდნენ და რითიმე უშველონ,—ესენი გაიძახიან: სულ ნემენცი გვიშლის ხელსაო, საქმეს გვიხდენსო!

⁂

ჩვენს გაზეთში არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი პოლიაკების პრუსიიდამ გამოძევების შესახებ. ამ ამბავმა ყველა განცვიფრებაში მოიყვანა, ყველა მოუთმენლად მოელოდა, რას იტყვის ბისმარკი პრუსიის ლანდტაგშიო. აი ბოლოს ბისმარკმა ხმა ამოიღო, და ამის გაბედულმა და მედგარმა სიტყვამ მეხივით გაიჭექა მთელს ევროპაში და ყველა გააკვირა და დააფიქრა. საქმე იმაშია, რომ ბისმარკმა თავის სიტყვაში სხვათა შორის ესეც წარმოსთქვა: გერმანიას ერთხელ კიდევ მოუხდებაო, თოფ-იარაღით ხელში, მთელს ევროპასთან შეტაკებაო. მაშ სადღაა ის შეურყეველი მეგობრობა, რომელსაც ესე გულწრფელად უცხადებდა ბისმარკი რუსეთსა და ავსტრიას ამ სამის წლის განმავლობაში?

«Петербургскія Вѣдомости»-ები არჩევენ ბისმარკის წინდაუხედავს სიტყვებს და სხვათა შორის ამბობენ:

> ყველა შიშშია და არ იცის რას უნდა მოელოდეს; ეხლა ყველას თვალი აეხილა, და აშკარად ჰხედვენ, რომ გერმანიის და ავსტრიის შუა რაღაც ძაფი გაწყდაო. არც რუსეთის და გერმანიის მეგობრობაა ისე მტკიცე, როგორც გენაში ჰგონიათ. სამწუხაროა ავსტრიისთვის ესეთი იმედის გაცრუება, თუმცა მოსალოდნელი კი იყო. ავსტრია, თუ კარგად დააკვირდება თავის პოლიტიკურს ცხოვრებას, შინაურს და გარეშე საქმეთა მიმდინარეობას, უნდა დაგვეთანხმდეს, რომ გერმანიის და მის შუა, ადრე თუ გვიან, მეგობრობა უთუოდ უნდა მოსპობილიყო.

ამაზედ გაზეთი «Новое Время» შემდეგ შენიშვნას იძლევა:

> რაც შეეხება რუსეთსო, ამ ამბავში დიდი საშიშარი და დასაფიქრებელი არა არის რაო; და გვგონია, ავსტრიაც ბოლოს ჭკუაზე მოვა და თავის თავს დაუფიქრდებაო...

ასეა თუ ისე, ეჭვი არ არის, რომ ბისმარკი განგებ ამღვრევს წყალსა და ევროპიის სახელმწიფოების არევ-დარევა სწადიან. რა გამოვა ამ არევ-დარევიდამ, რა აქვს ბისმარკს სახეში, ამას შემდეგი გვიჩვენებს!

⁂

საკვირველია ზოგიერთი კაცის გულ-მავიწყრობა! მთელ ქვეყანაში განთქმულს მეცნიერზე, ნიუტონზე, ამბობენ, ვითომ ერთხელ ადუღებულს წყალში კვერცხის მაგიერ ოქროს საათი ჩაეგდოს. ინგლისის გამოჩენილს პოეტზე, კოლლერიჯზე, ვიდაც შარლ ლამბი შემდეგ ახირებულს ამბავს მოგვითხრობს:

> ერთხელ შინიდამ გამოვედი და ძალიან საჭირო საქმეზე მივეჩქარებოდი. გზაზე შემხვდა ჩემი კარგი მეგობარი კოლლერიჯი, რომელიც თურმე ჩემთან მოდიოდა. კოლლერიჯი სრულიად შეეპყრა, გაეტაცა ერთს რაღაცა აზრს, და მაშინვე უნდოდა ჩემთვის გადმოეცა. ბევრი ვეუბნე, ეხლა არ მცალიან მეთქი, ერთს ადგილას ძალიან საჭირო საქმისთვის დანიშნულს საათზე მელიან, მაგრამ ჩემმა ალტაცებულმა და საშინელ გულ-მავიწყარმა მეგობარმა ყურიც არ მათხოვა. ვილასიც ბაღის კარი ღია დაინახა, წამავლო პალტოს ღილს ხელი, შემათრივა ბაღში, დამაყენა ხის ქვეშ ერთს მოფარებულს ადგილას, ღილი ხელიდამ არ გაუშვა, დახუჭა თვალები და დაიწყო ლაპარაკი. კოლლრეჯს საკვირველი სიტყვიერების ნიჭი ჰქონდა. იმისმა ნიჭიერმა და თავისებურმა მოთხრობამ, პირ-წყლიანმა სიტყვამ, გულის მიმზიდველმა ხმამ ისე გამიტაცა და სმენად გადამაქცია, რომ ჩემი საქმე სრულიად გადამავიწყდა. მხოლოდ მაშინ, როდესაც ქალაქის საათმა დაჰკრა, მამაგონდა, რომ დრო მეკარგება. მაგრამ გამოცდილებით ვიცოდი, რომ ჩემს მეგობარს ვერა ხვეწნით და მუდარით თავს ვერ დავახწევდი, უნდა ხერხი რამე მომეგონა. სხვა მეტი ღონე არ მქონდა, ჯიბიდამ კალმის დანა ამოვიღე, მოვაჭერ ჩემს პალტოს საცოდავი ღილი, რომელიც, ჩემს თვალ-დახუჭულს მეგობარს ეხლაც ხელში მაგრა ეჭირა, და ამ სახით როგორც იყო თავი დავახწიე. ერთის საათის შემდეგ უკანვე დავბრუნდი და ძალიან გავკვირდი, როდესაც ბაღს დავუპირდაპირდი და ჩემის მეგობრის ხმა მომესმა. წარმოიდგინეთ კოლლრეჯი ისევ იმავე ადგილას, იმავე ხეს ქვეშ, ისევ ისე თვალებ-დახუჭული იდგა, ღილი მაგრა ეჭირა ხელში, და ოდნავ ხელის ქნევით ალხენად თავისთვის ლაპარაკობდა.

ბევრი რამ არის, ჩემო ჰორაციო, იმისთანა საიდუმლო ქვეყანაზე, რომელიც სიზმრათაც არ მოსჩვენებიათ ჩვენს ფილოსოფოსთა!—მოდი და ნუ იტყვი ამასა, როცა ბუნებაში ამ გვარს უცნაურს და საკვირველს მოვლენას შეჰხვდები.

დეპეშა

იანვრის 30

პეტერბურგი. სამშაბათს ხელმწიფე იმპერატორი სანახავად ეწვია მთავარს ჩერნოგორიისას.

უწმ. სინოდმა გადასწყვიტა, რომ წელს მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის დაბადების დღესასწაული გადაიდოს 2 მარტისათვის და ეს დღესასწაული შეუერთდეს ტახტზედ ასვლის დღესასწაულსაო. ამის მიზეზი ის არის, რომ წელს ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღე მოდის დიდ-მარხვის პირველ კვირის ოთხშაბათს, 1 მარტის შაბათისთვისაც არ იქნებოდა გადადებაო, რადგან ამ დღეს პანაშვიდი იქმნება განსვენებულის ხელმწიფისათვისაო.

გუშინ პრჟევალსკიმ მადლობა მოახსენა ხელმწიფე იმპერატორს თავისგნით და თავის თანა-მოგზაურთა სახელითაც წყალობისა და საჩუქრებისათვის. პრჟევალსკის ებოძა გენერალ-მაიორობა და ამას გარდა 600 მან. პენსია მიემატა, ისე რომ სრული პენსია ექმნება 1800 მან. პრჟევალსკის უფროსს თანაშემწეს ებოძა ნიშანი წმ. ვლადიმირისა მე-4 ხარისხისა და პენსია 400 მან., დანარჩენ მის თანა-მეგზაურთ—წმ. გიორგის ჯვრები და 200—500 მან. ერთ-ხანად; ხოლო ზაბაიკალის ყაზახთა ჯარის უფროსს ურიადნიკს დონდუკ-ირინჩინოვს, რომელიც თან დასდევდა პრჟევალსკის ოთხსავე მოგზაურობაში წმ. გიორგის ჯვრის გარდა, ებოძა 120 მან. პენსია.

პეტერბურგის ქალაქის საბჭოს ხმოსანნი ფეხზედ წამოდგნენ და ისე მოისმინეს აქსაკოვის გარდაცვალების ამბავი. საბჭომ გადასწყვიტა, რომ სამძიმარი გამოუცხადოთ მიცვალებულის ოჯახსა და გვირგვინი გაუგზავნოთ კუბოზე დასადებლადაო.

მოსკოვი. რჩევამ დიდის-ყოფით და ამბით გადიხადა პანაშვიდი და დაადგინა, გვირგვინით შევამკოთ აქსაკოვის კუბოო, სამძიმარი განუცხადოთ ქვრივსა, დავაარსოთ უნივერსიტეტში სტიპენდიაო და აქსაკოვის სურათი რჩევის დარბაზში ჩამოვკიდოთო.

სოფია. რადგან სერბია თოფ-იარაღით ხელ-ახლად იჭურვება, ბოლგარიის მმართებლობაც საჭირო სამხედრო ღონის-ძიებას მიიღებსო.

პარიჟი. «გავასის სააგენტო» გვაუწყებს, რომ საფრანგეთი დათანხმდება ბოლგარიისა და რუმელიის გაერთებასა, თუ სხვა სახელმწიფონიც თანახმანი იქნებიანო, თუ არა და წინადვე ხელ-ფეხს არ შეიკრავს ამ საქმის გამოო.

ლონდონი. «*Times*»-ის სიტყვით, საბერძნეთის მმართებლობას აუწყეს, რომ ახალი კაბინეთი ბალკანიის საქმეთა შესახებ სალისბერის პოლიტიკას დაადგებაო და ის ინსტრუქციები, რომელიც ამან მისცა ბრიტანიის ფლოტის უფროსს არ შეიცვლებაო.

ლონდონი. გუშინდელმა საღამომ მშვიდობიანად გაიარა. ბრბონი ერისა დეპტფორდსა და სხვა ადგილებში პოლიციამ ადვილად დაშალაო.

ათინა. თუმცა გლადსტონის კაბინეტი საბერძნეთის საქმის შესახებ სალისბერის პოლიტიკას ადგია, საბერძნეთი მაინც თავისას არ იშლის და თავის გარდასწყვეტილებას არა სცვლის. საბერძნეთს იმის იმედი აქვს, რომ ყველა სახელმწიფოებს არა ჰსურთ, ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიონ საბერძნეთსაო. უფრო საფრანგეთის იმედი აქვს, რომ ამ წინააღმდეგობაში მონაწილეობას არ მიიღებსო.

სოფია. ის ხმა, რომ ვითომ ბოლგარიას განზრახვა აქვს აზღვევინოს სერბიას თავისი სამხედრო დანახარჯი, მართალი არ გამოდგა.

არის ნაცვალ-სახელი «მან»,--მაშასადამე ხიდ-ქვეშ ეს ბრუნვაც,—ნათესაობითის ბრუნვის დაბოლოებას (ისა) ადვილად ჩავთვლით მაჩვენებელ ნაცვალ-სახელად ტ ეს ბრუნვაც ჩაილულის წყალს დალევს. ხვალ-ზეგ აღმოჩნდება პირი, რომელიც ჩვენზედ კიდევ უფრო ღრმად ჩააკვირდება დროთა-უფსკრულსა, დაამტკიცებს, რომ მარცვალი სა არის ნაშთი ამა და ამ სიტყვისაო და ანდერძს აუგებს მიცემითს ბრუნვასაცა. დავრჩებით სრულიად უბრუნვებოდ და დავამგზავსებთ ჩვენ ენას, ფორმებით მდიდარსა, ჩინურს ენას, რომელიც მარტო სიტყვის ძირებიდგან შესდგება. მაშინ ჩვენს კეთილის მყოფელებს საბუთი მიეცემათ გვითხრან: რის მწიგნობრობა, რის ლიტერატურა, რის იმედი, რა მერმისი,—ბრუნვებიც არა ჰქონია თქვენს ენასაო.

საქმე ის კი არ გახლავთ, თუ რა წარმოსდგა რისაგან ძველის-ძველად, როდესაც ჩვენნი წინაპარნი ვანის ტბის გარშემო სცხოვრობდნენ და ლურსმებრივი ასოებით სწერდნენ; არამედ ისა, ახლა, ამ ჩვენს დროში რა ნიშნავს რასა და ამ რასმე აქვს თუ არა საფუძველი თვით-მყოფ—არსებობისა. და რომ მოქმედებითის ბრუნვის დაბოლოებას აქვს თავისი საკუთარი სახე და მნიშვნელობა და ბევრით განსხვავდება თანდებულიდგან «თურ», ეს მკითხველს, ვგონებ, ცხადად დავანახვეთ.

ერთი მოსაზრება კიდევ: მოქმედება არის განუყრელი და ძირითადი თვისება კაცის არსებობისა. რა დასაჯერებელია ვიფიქროთ, რომ ჩვენი ენა მოკლებული იყოს სწორედ იმ ბრუნვას, რომელიც არის გამომხატველი ადამიანის უმთავრესის კუთვნილებისა. ჩვენს წინაპართ სწამდათ ეს ბრუნვა, მისს არსებობაში ეჭვი არაჲის შეუტანია,—რად უნდა უარვყოთ ჩვენ იგი, როდესაც ამათზედ ნაკლებ არ გვიჭირს მოქმედება და მხნეობა? რა გვეთქმის, ჩვენმა კეთილის-მყოფელებმა ასე რომ იოხუნჯონ ჩვენზედ: ქართველები იმდენად ზარმაცნი ყოფილან იმავ-თავით, რომ მოქმედებითი ბრუნვაც კი არ აბადია მათ ენასაო.

კაცად. ამ ფორმის შესახებ ბატონი ყიფიანი ბრძანებს, რომ იგი ჰგავს ზმნისზედსაო და ამიტომ ბრუნვად არ უნდა ჩაითვალოსო. ბ. ნასიძე იმეორებს ამ აზრსა იმ განსხვავებით, რომ ეჭვით გამოთქმულს და ფრთხილს მსჯელობასა გულადად და აჩქარებით აძლევს კატეგორიულს ხასიათსა და გადაჰკრით სთვლის ამ ფორმას ზმნისზედად. მაგრამ ჩვენ მხოლოდ აწონილი აზრის გასინჯვას ვსთვლით საჭიროდ.

ის გარემოება, რომ დაბოლოება «ად» ამზგავსებს ბრუნვას ზმნისზედს, ნებას არ გვაძლევს უარ-ვყოთ პირველი და ჩავთვალოთ მეორედ. მზგავსებასა და იგივეობას შორის დიდი მანძილი სძევს და თუ მზგავსის ფორმების გაერთებას გავყევით, ჩვენს გრამატიკას ძლიერ გავალატაკებთ. მართალია, როდესაც ზედ-შესრულს უნდა გადიქცეს ზმნისზედად, ამ დაბოლოებას ხმარობს,—მაგრამ სხვა სახელებს კი არც შეძლება აქვთ და არც მიდრეკილება გახდნენ ზმნისზედად მარცვალი ად-ის წყალობით. სახელი არსებითი სრულიად სხვა ფორმებსა ხმარობს ზმნისზედად გარდაქცევისათვის. იგი, მაგალითად, მეორდება, ორ-კეცი ხდება: გზა-გზა, მთა-მთა, წყალ-წყალ, აღმართ-აღმართ, გვერდ-გვერდ, მინდორ-მინდორ, გულ-და-გულ და სხვანი. მხოლოდ აქ უნდა შევნიშნოთ ერთი გრამატიკური ფაქტი,—და ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს ბასის დასკვნისათვის,—რომ არამც თუ ერთი რომელიმე ფორმა, არამედ ყველა ფორმები უძლურია გადააქციოს ყოველი სახელი არსებითი ზმნისზედად; გადაქცევა შეიძლება მხოლოდ სიტყვათა ზოგიერთის გუნდისა. მაგალითად, შეტყუპებით ვერას გზით ვერ გახდით ზმნისზედად შემდეგს სიტყვებსა: სული, გონება, გემოვნება, სუნი, ყნოსვა და მრავალთა სხვათა. ამიტომ, თუ რომელიმე მარცვალი, თავის-თავად უმნიშვნელო, შეგიძლიანთ მიაბათ ყოველს სახელი-არსებითს, ზედ-შესრულს, რიცხვით-სახელსა და ნაცვალ-სახელსა და მისცეთ ამითი ერთი და იგივე მნიშვნელობა, ეს იმისი უტყუარი ნიშანია, რომ ეს მარცვალი მიუცილებლად არის დაბოლოვებათ ბრუნვისა.

მარცვალი ად თავის-თავად ყველა აზრს მოკლებულია. მაგრამ აბა სცადეთ მისი მიბმა ყოველს გვარს სახელზედ და ნახავთ, როგორ ლაზათიანად მიეკედლება და რა განსაზღვრულს აზრს გამოახატვინებს. კაც-ად, ბალ-ად, თევზ-ად, ბულბულ-ად, ორ-ად, სამ-ად, შენ-ად, ჩემ-ად, თქვენ-ად და სხვანი. გამოდის, რომ თუ ეს მარცვალი ჩავთვალეთ ზმნისზედის დაბოლოებად, ყოველ-გვარი სახელი იქ მოიყრის თავსა და იგი ისე აშენდება, რომ კრეზზედ უმდიდრესი შეიქმნება. ამასთან ეს პაწია მარცვალი გახდება ბისმარკზედ უარესი დესპოტი და ყოველს სახელს, რომელსაც კი ბოლოზედ კბილს მოსჭიდებს, ჩაათრევს საცალა შორს—ზმნისზედის სამფლობელოში.

სხვა მხრივაც მოვუაროთ საგანსა. ზმნისზედის ერთი თვისება მდგომარეობს იმაში, რომ მას ვერ შეეთანხმება, მეტადრე ბრუნვებრივად, ვერც ერთი სახელი. ავიღოთ, მაგალითად, ნამდვილი ზმნისზედა გარდიგარდმო. აბა სცადეთ დაკავშირება მასთან რომელიმე სახელისა გინდათ თავსა, გინდათ ბოლოსა და დარწმუნდებით, რომ ეს ყოვლად შეუძლებელია. მივმართოთ ახლა საცილობელს ფორმას და მაგალითად ავიღოთ სიტყვა—ბალად. რომელ სახელთანაც გნებავთ, ყველასთან დავაკავშირებთ მას. დიდ ბალად, პატარა ბალად, ჩემ ბალად, შენ ბალად, ორ ბალად, პირველ ბალად და სხვანი. მართალია, წინასწარ სიტყვას ამ შემთხვევაში ეკვეცება დაბოლოება ად; მაგრამ ამას სჩადის კეთილ-ხმოვანება, რომელიც სხვა ბრუნვებშიაც ამოკლებს წინასიტყვების დაბოლოებას; მაგალითად, ვამბობთ და ვსწერთ: პატარა კაცმან, მარჯვე მოგვერდით, კარგი წიგნები და არა: პატარამან კაცმან, მარჯვეთ, მოგვერდით, კარგები წიგნები.

(დასასრული ხვალ)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვი. დღეს პანაშვიდზე აქსაკოვის სახლში წარმოსთქვა სიტყვა «Свѣтъ»-ის რედაქტორმა კომაროვმა პეტერბურგის მწერალთა სახელობითა და ჩერნოგორელმა ვოევოდამ პეკო-პავლოვიჩმა.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ **1886** წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14.

ამისი ქორონიკონი — უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა — 23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება — 22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, ამავ დღიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

იანვარი 31 დღით არის.

30 დღე ხუთშაბათი. წმ. დიდთ-მღვდელ-მთავართა: ვასილი დიდისა, გრიგოლ ღვთის-მეტყვ. და იოანე ოქროპირისა. სომეხ. წმ. ადრიანესი; კათოლ. ქალწულისა მარტინასი. მუსულმ. დაბადება ა ლ ი ს ა (სუნიტის მოძღვრ.) ჭეშმარიტი შუადღე 12—14—28. ტფილისში მზე ამოდის 7—3, ჩადის 5—26; მთვარე ამოდის 10—55; ჩადის 11—22.

31 დღე პარასკევი. წმ. საკვირველ-მოქმედის კვიროსი, იოანესი, ხსოვა შიო მღვიმელის სასწაულისა. სომეხ. მარხვაა. კათოლ. პეტრესი. 5—46 წ. ტფილისში იწყობა პირველი ხარისხი მთვარისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—27. ტფილისში მზე ამოდის 7—1; ჩადის 5—29. მთვარე ამოდის 11—35. ჩადის 12—24 ნღ.

ფებერვალი 28 დღით არის

1 დღე შაბათი. წმ. მოწამე ტრიფონ, სომ. გრიგოლ ღვთის-მეტყველისა; კათოლ. ეგნატესი ეპ. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—26; ტფილისში მზე ამოდის 6—58; ჩადის 5—30; მთვარე ამოდის 12—21; ჩადის 1—25 ნღ.

2 დღე კვირა. მიგებება უფლისა, აგრეთვე კათოლიკეთა; სომ. ალების ღამე არაჯაორაც მარხვისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—24. ტფილისში მზე ამოდის 6—57. ჩადის 5—32; მთვარე ამოდის 1—12; ჩადის 2—26 ნღ.

3 დღე ორშაბათი. წმ. სვიმეონ ღვთის მიმრქმელისა, წინასწარმეტყველისა ანნასი. კათ. ბლიაზისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—21; ტფილისში მზე ამოდის 6—55., ჩადის 5—33. მთვარე ამოდის 2—13; ჩადის 3—28 ნღ.

* * *

გამოსადეგი ცნობანი.

მაზანდა.

1 იანვრიდამ 1-ლ თებერვლამდე.

რუსეთის ფქვილისაგან გამომცხვარი პური 1 გირვ. . . .	5 კ.
ადგილობრი პური 1-ლის ხარისხ. სა.	$2^1/_4$ »
» » 2 »	2 »
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში 1-ლის ხარისხისა . . .	$4^1/_2$ »
მე-2 ხარისხისა . . .	$3^1/_2$ »
მე-3 — . . .	3 »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა .	8 »
2 —	7 »
ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი	14 »
ცხვრის ხორცი	7 »
ღორის ხორცი 1-ლის ხარისხ. .	5 »
2-ის ხარისხ. . .	4 »

* * *

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. ღ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. ღ.
ბაქოდამ მოდის — — — 8 ს. „ — „ დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 ნ. წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31 -

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.
კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

ქ. ქუთაისს

დუბლაკის და კ° კირის ქარხანაში

ისყიდება საუკეთესო **კირი**

ამ ფასად:

1 კუბიკური საჟენი წყალ-დაუსხმელის კირისა . . . . . 75 მ.

1 კუბიკური საჟენი წყალ-დაუსხმელისვე კირისა ვაგონში დადებით 78 მ.

მსყიდველების თხოვნისამებრ ამ ფასად კირი შეიძლება გაიგზავნოს ვაგონებით ქ. ტფილისს, ბათუმს, ფოთს და ამიერ-კავკასიის რკინის-გზის ყველა სტანციებზე. გადასატანი ფასი მსყიდველმა რკინის-გზის მაზანდის მიხედულობით უნდა გამოგზავნოს.

ბათუმში კირის გასყიდვის აგენტად არის ბ-ნი ნ. შადინოვი; იქვე არის კირის საწყობი. (12—2)

უწინდელზე **ნახევარ ფასათ**,

ლექსიკონები: საბა-სულხან ორბელიანისა—2 მ. 20 კ. გაგზავ. ბოტანიკურ-ზოოლოგიური — 1 მ. 10 კ. ისყიდება თბილისში, გრ. ჩარკვიანის მაღაზიაში. (3—3)

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ

„КАВКАЗЪ"

на 1886 годъ (41 годъ изданія).

Въ 1886 году газета «КАВКАЗЪ» будетъ выходить по прежней программѣ и подъ прежнею редакціею ежедневно не исключая и понедѣльниковъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА.

съ достакою въ тифлисѣ:

На годъ . . .	11 р. 50 к.
» полгода . . .	6 р. — »
» 3 мѣсяца . .	3 р. 50 к.
» 1 мѣсяцъ. . .	1 р. 50 к

съ пересылкою

по имперіи	по почтовому союзу
13 р.	18 р. 40 к.
7 р.	10 р. — »
4 р.	6 р. — »
1 р. 75 к. . . .	2 р. — »

подписка принимается исключительно въ Конторѣ редакціи. Тифлисъ, уголъ Головинскаго проспекта и Барятинской улицы, домъ Ротинова. Для иногор. адресовать: *Тифлисъ. Въ Редакцію газеты «КАВКАЗЪ».*

საუცხოო

კახური ღვინოები

კნ. თ. **ერისთავის** ახლათ გაღებულს სარდაფში, სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაში, ამირაღოვის სახლში, № 8. (2—2)

გრ. ჩარკვიანის

ქართული წიგნის მაღაზიაში

ისყიდება

ყოველგვარი ქართული წიგნები

ტფილისს: ლოლოს-მელიქოვის ქუჩაზედ ზუბალოვის სახლებში

გარეშე პირთათვის ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ Григорія Чарквіани.

დაიბეჭდა და ისყიდება

საყმაწვილო სურათებიანი წიგნი

„მელიას თავ-გადასავალი"

წიგნში 33 სურათია, ფ. 20 კ.

ისყიდება გრიქუროვისა და ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში. ვინც პირ-და-პირ გამომცემლისგან დაიბარებს არა ნაკლებ ოცის წიგნისა, მას მანათზედ ერთი აბაზი დაეთმობა. ადრესი: Тифлисъ, Татишвили, Акимовская ул. № 22.

(5—3)

სტამბა

ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფებოდა ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, ქვაშვეთის ეკკლესიის შენობაში, გადავიდა საპერნის ქუჩაზე, მთავარ-მმართებლის თანაშემწის სახლის გვერდზედ ალექსანდროვის ბაღთან, თავის საკუთარს სახლებში, № 4.

იღებს ყოველ-გვარს საბეჭდავს საქმეებს სხვა და სხვა ენებზედ. ფასი ზომიერი; შეკვეთილი საქმე სუფთად და ვადაზედ ჰბარდება შემკვეთელს. ქალაქ გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ამ ადრესით მომმართონ: *Тифлисъ, Типографію Еф. Ив. Хеладзе на Саперной улицѣ въ собственномъ домѣ.*

საპოლიტიკო და სალიტერატურო

გაზეთი

„ივერია"

1886 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თვით . . .	10 მ. — კ.	6 თვით	6 მ. — კ.
11 » . . .	9 » 50	5 »	5 » 25 „
10 » . . .	8 » 75 »	4 »	4 » 75 „
9 » . . .	8 » — »	3 »	3 » 50 „
8 » . . .	7 » 25 »	2 »	2 » 75 „
7 » . . .	6 » 50 »	1 »	1 » 50 „

სამზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით.

სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მანათად.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты «ИВЕРІЯ.»

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში — ერთი მანათი.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება.

განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში, შავერდოვის საგაზეთოში, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდი ხელ-ნაწერები, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდავ ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს. პირ-და-პირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე პირველ საათიდამ სამ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

Дозволено цензурою Тифлисъ 31 января, 1886 года ექვთიმე ი. ხელაძის სტამბა საპერნის ქუჩაზე, საკუთარ სახლებში. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.